



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 80

2016 წლის 27 აპრილი

ქ. თბილისი

2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების
დამტკიცების შესახებ

„სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 26 ივნისის N77/ნ დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ქეთევან გაბიტაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N457588, 27.04.2016) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს 2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N1-ს შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართი ერთით გათვალისწინებულ პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2016 წლის 20 მაისისა;
3. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებ გვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები

N	შიფრი	პროექტის სახელწოდება	წამყვანი ორგანიზაცია
ა) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები			
1	SS16_A_003	ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ქართული ხელნაწერი“	სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
2	SS16_A_006	ზეპირი ისტორია: საქართველოს წარსულის შესწავლა და ახალგაზრდა მეცნიერების მომზადება	სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
ბ) OECD/EUROSTAT სამეცნიერო მიმართულებები			
1	SS16_B_013	გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის საზაფხულო სკოლა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	SS16_B_006	ნეიროგანვითარებითი დარღვევები - მტკიცებულებები და შესაძლებლობები	ბავშვთა ასაკის შეზღუდულ შესაძლებლობათა საქართველოს აკადემია
3	SS16_B_033	იმუნოლოგიური კვლევის მეთოდების სკოლა უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით	საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაცია
4	SS16_B_004	საზაფხულო ფსიქონალიტიკური სკოლა: ფსიქიკური ჯანმრთელობა, მასობრივი ტრამვა და მიგრანტთა პრობლემები - ფსოქონალიზური ხედვა	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
5	SS16_B_014	უჯრედული სეკრეცია ნორმასა და პათოლოგიაში: ნევროლოგიური დაავადებებიდან დიაბეტამდე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
6	SS16_B_028	ელექტრო-მაგნიტური თავსებადობისა და სიგნალის მთლიანობის თანამედროვე ამოცანები	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
7	SS16_B_032	სეზონური სატყეო სკოლა 2016	ა (ა) იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
8	SS16_B_010	გარემოს (ატმოსფეროს) მონიტორინგის ქიმიური და მათემატიკური ასპექტები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9	SS16_B_001	ადამიანის ქცევის შესწავლა ინტერდისციპლინარული მიდგომით	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
10	SS16_B_034	ანტიკური სამყარო და კავკასია	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი